ADB

# პოლიტიკა

2018 წლის სექტემბერი

# ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა

წინამდებარე დოკუმენტი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი აზიის განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭოს 2011 წლის საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკის შესაბამისად.

**აზიის განვითარების ბანკი**

**აბრევიატურა**

| | | |
|---|---|---|
| ADB | – | აზიის განვითარების ბანკი |
| AIC | – | ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომიტეტი |
| AIP | – | ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკა |
| IAP | – | საჩივრების დამოუკიდებელი საბჭო |
| PCP | – | საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკა |
| US | – | შეერთებული შტატები |

| | |
|---|---|
| **ვიცე პრეზიდენტი** | ბამბანგ სუსანტონო, ცოდნის მართვა და მდგრადი განვითარება |
| **საორგანიზაციო კომიტეტი** | ნესსიმ აჰმადი, გენერალური დირექტორის მოადგილე, მდგრადი განვითარებისა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი (SDCC)<br>შირინ ჰამიდი, დირექტორი, ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების სამსახური (OIST)<br>ჰუნ კიმი, გენერალური დირექტორი, სამხრეთ აზიის დეპარტამენტი (SARD)<br>ტომოიუკი კიმურა, გენერალური დირექტორი, სტრატეგიის, პოლიტიკისა და მიმოხილვის დეპარტამენტი (SPD)<br>კრისტოფერ სტეფანსი, გენერალური მრჩეველი, გენერალური მრჩევლის სამსახური (OGC)<br>ვიკი ს.ლ. ტანი, დირექტორი, კომუნიკაციების დეპარტამენტი (DOC)<br>კრისტოფერ ტიემე, დირექტორის მოადგილე, კერძო სექტორის ოპერაციების დეპარტამენტი (PSOD)<br>ვუჩონგ უმი, გენერალური დირექტორი SDCC<br>ევგენი ჟუკოვი, მდივანი, სამდივნო სამსახური (OSEC) |
| **დირექტორი** | ვიკი ს.ლ. ტანი, DOC |
| **დირექტორი** | ომანა ნაირი, მედიასთან და საგარეო ურთიერთობების განყოფილება, DOC |
| **გუნდის ხელმძღვანელი** | კარენ ლეინი, კომუნიკაციების უფროსი სპეციალისტი, DOC |
| **გუნდის წევრები** | მარკ კროუ, რედაქტორი, OSEC<br>კურუმი ფუკიამა, ოპერაციების კოორდინაციის წამყვანი სპეციალისტი, PSOD<br>ლესლი ლამი, მრჩეველი და უფროსი, უწყებათშორისი ურთიერთობებისა და არა სუვერენული ოპერაციების განყოფილება, SPD<br>ლიაილა ბაზარბეკოვა, მრჩეველი, OGC<br>ფრანცისკო ტორნიერი, სოციალური განვითარების სპეციალისტი, SARD<br>პატრიკ ვერმეიე, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტი, OIST<br>ნიკ ანჯელო ვილალუზი, კომუნიკაციების ოფიცერი, DOC |

ნებისმიერი ქვეყნის პროგრამის ან სტრატეგიის მომზადებისას, პროექტის დაფინანსებისას, ან წინამდებარე დოკუმენტში რაიმე კონკრეტულ ტერიტორიაზე ან გეოგრაფიულ არეალზე მინიშნებისას, აზიის განვითარების ბანკი მიზნად არ ისახავს ტერიტორიის ან არეალის იურიდიული თუ სხვა სტატუსის შეფასებას.

**შინაარსი**


| | | | **გვერდი** |
|---|---|---|---|
| I. | პოლიტიკის წარდგენა | | 1 |
| II. | პოლიტიკის პრინციპები და გამონაკლისები | | 1 |
| | A. | პოლიტიკის პრინციპები | 1 |
| | B. | გასაჯაროების გამონაკლისები | 3 |
| | C. | საზოგადოებრივი ინტერესის შეზღუდვა (პოზიტიური განსაზღვრა) | 6 |
| | D. | ADB-ის წვდომის შეზღუდვის პრეროგატივა (ნეგატიური განსაზღვრა) | 7 |
| | E. | ისტორიული ინფორმაცია | 7 |
| III. | ინფორმაციის მოთხოვნა და საჩივრები | | 7 |
| | A. | ინფორმაციის მოთხოვნა | 7 |
| | B. | ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომიტეტი | 8 |
| | C. | საჩივრები | 8 |
| | D. | ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კავშირი სხვა პოლიტიკებთან | 10 |
| | E. | შესაბამისობის მიმოხილვა | 10 |
| IV. | პოლიტიკის მონიტორინგი და შესწორებები | | 10 |
| V. | პოლიტიკის ძალაში შესვლა | | 10 |

## I. პოლიტიკის წარდგენა

1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის (AIP) მიზანი მდგომარეობს დაინტერესებულ მხარეთა აზიის განვითარების ბანკის მიმართ ნდობის გაუმჯობესებასა და აზიის განვითარების ბანკის განვითარების ხელშემწყობი აქტივობების გაზრდაში. პოლიტიკა ასახავს აზიის განვითარების ბანკის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულის მისწრაფებას და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას აზიის განვითრების ბანკის მიერ აზიასა და წყნარი ოკეანეთში განხორციელებული განვითარების აქტივობებში. ეს პოლიტიკა ასევე აღიარებს ადამიანის უფლებას მოიძიოს, მიიღოს და გააზიაროს ინფორმაცია აზიის განვითარების ბანკის ოპერაციების შესახებ.

2. პოლიტიკა ეხება დოკუმენტებს და ინფორმაციას, რომელსაც აწარმოებს აზიის განვითარების ბანკი, მოითხოვს მათ წარმოებას მსესხებლების ან კლიენტებისგან, ან მომზადებულია და მიწოდებულია აზიის განვითარების ბანკისთვის სხვა მხარეების მიერ აზიის განვითარების ბანკის ოპერაციების წარმოების პროცესში. პოლიტიკა განხორციელდება აზიის განვითარების ბანკის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული დეტალური მითითებების შესაბამისად და საჯარო გახდება აზიის განვითარების ბანკის სტანდარტულ პროცედურებზე დაყრდნობით. [1]

## II. პოლიტიკის პრინციპები და გამონაკლისები

### A. პოლიტიკის პრინციპები

3. AIP ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

(i) **გასაგები, დროული და შესაბამისი გასაჯაროება.** ADB ასაჯაროებს ინფორმაციას მისი ოპერაციების შესახებ გასაგებ, დროულ და შესაბამის ფორმებში, რათა ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პირთა ADB-სთან მუშაობას და კარგი მმართველობის წახალისებას.

(ii) **პრეზუმცია გასაჯაროების სასარგებლოდ.** ADB ასაჯაროებს ინფორმაციას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაცია ექვემდებარება წინამდებარე პოლიტიკაში ასახულ გამონაკლისებს.

(iii) **შეზღუდული გამონაკლისები.** ინფორმაციის სრულად გასაჯაროება ყოველთვის შესაძლებელი არ არის. მაგალითად, ADB-ს ესაჭიროება იდეების მოძიება, ინფორმაციის გაზიარება, დისკუსიების ჩატარება, და დებატების თავისუფალი განხილვა თავად ბანკის შიგნით, მის წევრებთან ან კლიენტებთან. ზოგიერთ შემთხვევაში, ADB-მა უნდა გაითვალისწინოს მისი არა სუვერენული ოპერატორებისა და კლიენტების[2] მოთხოვნები, უნდა

---

[1] ADB-ის პოლიტიკების იმპლემენტაციის საკითხები მოცემულია ADB-ის *ოპერაციული სახელმძღვანელოს* (პერიოდული შესწორების შესაბამისად) ოპერაციულ პროცედურებში.

[2] კლიენტის კონფიდენციალური ბიზნეს ინფორმაციის გაუსაჯაროებლობის იურიდიული ვალდებულება წარმოადგენს კერძო სექტორის ფინანსური ინსტიტუტების, ასევე ADB-ის შემფასებლების სტანდარტულ მოთხოვნას. კონფიდენციალური ბიზნეს ინფორმაციის დაცვა ფართოდ არის აღიარებული ინფორმაციის

დაიცვას პერსონალის კონფიდენციალურობის უფლება, ან დაიცვას საკუთარი და მისი კლიენტის ლეგიტიმური ბიზნეს ინტერესები. პოლიტიკაში წარმოდგენილია გამონაკლისების შეზღუდული რაოდენობა, რაც აწონასწორებს სხვადასხვა მხარეების უფლებებსა და ინტერესებს. თუმცა, ADB იტოვებს უფლებას გამონაკლის შემთხვევებში უგულებელყოს პოლიტიკის გამონაკლისები (პარაგრაფი 6) ან არ გაასაჯაროოს ინფორმაცია, რომელიც ჩვეულებრივ შემთხვევებში ექვემდებარება გასაჯაროებას (პარაგრაფი 7).

(iv) **პროაქტიული გასაჯაროება.** ADB-ის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, ADB პროაქტიულად და დროულად ასაჯაროებს საკუთარ ცოდნას და ინფორმაციას მისი ოპერაციების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ADB-ის ვებგვერდი პროაქტიული გასაჯაროების ძირითადი მექანიზმია, ADB ასევე იყენებს ინფორმაციის გასაჯაროებისა და კომუნიკაციის სხვა შეფასების ფორმებს.

(v) **ინფორმაციისა და იდეების გაზიარება.** AIP მოიცავს პროცესებს, რომელთა საშუალებითაც ხალხს შეუძლია მოიძიოს, მიიღოს და თვალყური ადევნოს ADB-ის ოპერაციებთან დაკავშირებულ ინფორმაციას და იდეებს. ეფექტური კომუნიკაცია და ინფორმაციისა და იდეების გაცვლა დაინტერესებულ პირებთან სასიცოცხლო კომპონენტია ეფექტური და მდგრადი განვითარებისთვის.

(vi) **პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება.** ADB მჭიდროდ თანამშრომლობს მსესხებლებთან და კლიენტებთან, რათა უზრუნველყოს ორმხრივი კომუნიკაცია ADB-ის პროექტების ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ეს ხორციელდება გრაფიკის შესაბამისად, შესაბამისი ენების[3] გამოყენებით და ისე, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს მიეცეთ საშუალება მონაწილეობა მიღონ პროექტის შემუშავებასა და განხორციელებაში.

(vii) **ქვეყნისა და კლიენტის საკუთრება.** ADB-ის მსესხებლები და დამკვეთები ფლობენ პროექტს, რომელსაც ხელს უწყობს ADB ან რომელშიც ბანკი ახორციელებს ინვესტიციას. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, ხდება მსესხებლებისა და კლიენტების შეხედულებების გათვალისწინება გასავრცელებელი დოკუმენტის შინაარსთან და დროსთან მიმართებაში.

(viii) **გასაჩივრების გამჭვირვალე პროცესი.** ADB-ის ინფორმაციის გაუვრცელებლობის გადაწყვეტილების გასაჩივრების ღია პროცესი გასაჯაროების სისტემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

---

თავისუფლების შესახებ კანონებში, რომელიც მოიცავს ნდობის საფუძველზე მიღებული კომერციული ინფორმაციის გასაჯაროების გამონაკლისებს.

[3] ADB-ის თარგმნის სახელმძღვანელოები მასალების ოფიციალურ და ეროვნულ ენებზე თარგმნის საშუალებას იძლევა. ადგილობრივი ენების გამოყენება შესაძლებელია საჭიროების შესაბამისად თუ ამას განსაზღვრავს ადგილობრივი ოფისი.

(ix) **უწყვეტი მონიტორინგი.** ADB მონიტორინგს უწევს პოლიტიკის ეფექტურობას, ითვალისწინებს წარმატებებიდან და შეცდომებიდან მიღებულ გამოცდილებას და მუდმივად ინარჩუნებს ღიაობას ახლ ტექნოლოგიებთან და პრაქტიკებთან მიმართებაში.

## B. გასაჯაროების გამონაკლისები

4. ADB ასაჯაროებს მის საკუთრებაში არსებულ ინფორმაციას, რომელიც არ ხვდება პოლიტიკის არცერთ გამონაკლისში. გამონაკლისები ეფუძნება ADB-ის დამოკიდებულებას, რომ გარკვეული სახეობის ინფორმაციის გასაჯაროებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს კონკრეტულ მხარეებს ან ინტერესებს, რაც გადაწონის გასაჯაროებით მიღებულ სარგებელს. სარგებელისა და ზიანის შეფასება არის პროცესი, როდესაც ხდება გასაჯაროებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგების შედარება გასაჯაროებით სავარაუდოდ მისაღებ სარგებელთან. ამ თვალსაზრისით ADB-ის გასაჯაროების პრინციპები (პარაგრაფი 3)- პრაქტიკულად გასაჯაროების სასარგებლო პრეზუმფცია - ზემოთ ხსენებული შეფასება და გაუვრცელებლობის საფუძველი შეზღუდულია პარაგრაფ 5-ში აღწერილი ინფორმაციის კატეგორიებით. თუ დოკუმენტი ან მისი ნაწილი არ საჯაროვდება იმის გამო, რომ ის შეიცავს ინფორმაციას, რომელიც გათვალისწინებულია პოლიტიკის ერთი ან მეტი გამონაკლისით, მაშინ ADB ხელმძღვანელობს გაუსაჯაროებლობის გამონაკლისით (გამონაკლისებით).

5. AIP-ის პოზიტიური განსაზღვრის დებულებასთან მიმართებაში (პარაგრაფი 6), გასაჯაროებას არ ექვემდებარება ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ინფორმაცია ან დოკუმენტები:

### 1. სათათბირო და გადაწყვეტილების მიღების პროცესი

ზოგადად, ინფორმაცია, რომელიც ასაჯაროებს ADB-ის სათათბირო და გადაწყვეტილების მიღების პროცესს, არ ექვემდებარება გასაჯაროებას. გამონაკლისების ეს კატეგორია ეფუძნება მოსაზრებას, რომ თათბირი, დებატები და რჩევები, რომლებიც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს თავისუფალი და ღია უნდა იყოს. ზემოთ ხსენებული გულისხმობს შემდეგს:

(i) შიდა ინფორმაცია, რომელიც გასაჯაროების შემთხვევაში გამოიწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ADB-ის ბანკის სათათბირო და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთიანობის კომპრომეტირება იდეების, შეხედულებებისა და მიდგომების თავისუფალი გაცვლის შეზღუდვით, რაც საბოლოო ჯამში ნეგატიურად იმოქმედებს ADB-სა და მისი დაინტერსებული მხარეების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე. ასე მაგალითად, აზრების და რჩევების გაცვლა საბჭოს წევრებს, დირექტორების მრჩევლებს, მენეჯმენტის წევრებს, ADB-ს თანამშრომლებს და ADB-ს კონსულტანტებს შორის, რომლებიც სათათბირო ხასიათს ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ ADB როგორც წესი ასაჯაროებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის შედეგებს, მან შესაძლოა არ გაავრცელოს ყველა აზრი, შეხედულება და მიდგომა, რომელმაც განაპირობა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღება, რადგან დაინტერსებულ მხარეებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ საკუთარი აზრების, შეხედულებებისა და მიდგომების წარმოდგენა და მათზე მსჯელობა.

(ii) დირექტორთა საბჭოს მოსმენები[4], გარდა საბჭოს ანგარიშისა[5], თანმიმდევრული ტრანსკრიფციები,[6] საბჭოს შეხვედრების ოქმები, [7] და თავმჯდომარის მიერ საბჭოს გარკვეული შეხვედრების შეჯამებები,[8] ვინაიდან მსგავსი დოკუმენტების გასაჯაროება შეზღუდავს იდეების, შეხედულებების და მიდგომების გულახდილ მიმოცვლას საბჭოს წევრებს შორის.

(iii) ინფორმაცია, რომელიც მიღებულია, მომზადდა ან გამომდინარეობს ADB-სა და მის წევრებს, ასევე იმ სხვა ერთეულებთან ჩატარებული სათათბირო და გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან, რომლებთანაც თანამშრომლობს ADB. ამ ინფორმაციის გასაჯაროება გამოიწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ADB-სა და მის წევრებს შორის ჩატარებული სათათბირო და გადაწყვეტილების მიღების პროცესის ერთიანობის კომპრომეტირება იდეების, შეხედულებებისა და მიდგომების თავისუფალი გაცვლის შეზღუდვით.

## 2. კონფიდენციალური ინფორმაცია

(iv) ADB-თვის წევრის ან სხვა მხარის მიერ კონფიდენციალურად მიწოდებული ინფორმაცია. ADB-ს აქვს ვალდებულება დაიცვას მსგავსი ინფორმაცია და არ გაასაჯაროოს ის წევრის ან მხარის წერილობითი ნებართვის გარეშე.

(v) საკუთრებაში არსებული ინფორმაცია ან ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მიეწოდა ADB-ს მხარის მიერ და რომლის გასაჯაროებაც გამოიწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ინფორმაციის მოწოდებული მხარის ან ნებისმიერი სხვა მხარის კომერციული ინტერესების, ფინანსური ინტერესების, ან კონკურენტუნარიანი პოზიციის დაზიანება.

---

[4] აზიის განვითარების ბანკის რეგლამენტის მე-9 ნაწილის თანახმად, დირექტორთა საბჭოს მოსმენები არის კონფიდენციალური. წინამდებარე პოლიტიკის მიზნებისთვის, ტერმინი დირექტორთა საბჭოს მოსმენა გულისხმობს დოკუმენტს ან ინფორმაციას, რომელიც შეიქმნა დირექტორთა საბჭოსა და საბჭოს კომიტეტის შეხვედრაზე ან შეხვედრისთვის და შედგება საბჭოს ანგარიშებისგან (დირექტორთა საბჭოსთვის მიწოდებული დოკუმენტები ინფორმაციის გაზიარების, დისკუსიის ან განხილვის ჩატარების მიზნით) საბჭოს ოქმებისგან, რომლებიც მომზადდა დირექტორთა საბჭოს შეხვედრის ან საბჭოს კომიტეტის შეხვედრის დროს, თანმიმდევრული ტრანსკრიფციები, ოქმები, და/ან თავმჯდომარის მიერ შეხვედრის შეჯამება, ჩანაწერი ან ნებისმიერი სხვა კომუნიკაციის ფორმა ADB-ს მენეჯმენტს, დეპარტამენტებს, ან სამდივნოს შორის და საბჭოს, საბჭოს კომიტეტების, და/ან აღმასრულებელი დირექტორების ოფისებს შორის, ნებისმიერ ფორმატში, მათ შორის ელექტრონულ ფორმატში.

[5] პოლიტიკის გამონაკლისებით შეზღუდვის გარდა, დოკუმენტები, რომლებიც მომზადდა დირექტორთა საბჭოსთვის, მათი დარიგების შემდეგ ქვეყნდება ვებგვერდზე. საბჭოსთვის განსახილველად მიწოდებული დოკუმენტების გასაჯაროება ხდება საბჭოს მიერ დამტკიცების ან უარყოფის შემდეგ.

[6] დირექტორთა საბჭოს ფორმალური შეხვედრების თანმიმდევრული ტრანსკრიფციების გასაჯაროება შეიძლება მოხდეს მოთხოვნის საფუძველზე და ამ ტრანსკრიპტების შექმნიდან 10 წლის შემდეგ, იმ პირობით, რომ შეხვედრა ჩატარდა 2012 წლის 2 აპრილს ან ამ თარიღის შემდეგ და ინფორმაციის ხელმისაწვდომის კომიტეტი დაადგენს, რომ ტრანსკრიპტებში მოცემული არ არის ინფორმაცია ან არ არის მითითება ისეთ ინფორმაციაზე, რომელსაც შეეხება პოლიტიკის გამონაკლისები.

[7] დირექტორთა საბჭოს რეგულარული შეხვედრების ოქმები საჯაროვდება ოქმების საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს საბჭოს ჩატარებიდან 60 კალენდარული დღისა. ეს შეეხება საბჭოს რეგულარულ შეხვედრებს, რომლებიც ჩატარდა 2005 წლის 1 სექტემბერს ან ამ თარიღის შემდეგ.

[8] თავმჯდომარის შეჯამება დირექტორთა საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ, რომელიც შეეხება ქვეყნის პარტნიორობის სტრატეგიას, თითოეულ პოლიტიკას ან სტრატეგიას, რომელიც დამტკიცებული ან უარყოფილია საბჭოს მიერ ფორმალური შეხვედრის ფარგლებში საჯაროვდება საბჭოსთვის დარიგებიდან 14 დღის ვადაში.

(vi) კონფიდენციალური ბიზნეს ინფორმაცია, რომელიც გათვალისწინებულია კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმებაში ან არ გამოქვეყნების შესახებ შეთანხმებაში, რომელიც ADB-მა გააფორმა კლიენტებთან ან სხვა შესაბამის მხარეებთან.

**3. პერსონალური ინფორმაცია**

(vii) ნებისმიერი პერსონალური ინფორმაცია, რომლის გასაჯაროება გამოიწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს პირის ლეგიტიმური ინტერესების კომპრომეტირება, გარდა ამავე პირის მიერ ნებადართული ან ADB-ს წესებით გათვალისწინებული ინფორმაციისა. ზოგიერთი მაგალითი მოიცავს ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია თანამდებობაზე დანიშვნასთან და შერჩევის პროცესთან, დასაქმების პირობებთან, შესრულებული სამუშაოს შეფასებასთან, პირად სამედიცინო ინფორმაციასთან, კომუნიკაციებთან, შიდა კონფლიქტების მოგვარების პროცესთან და გასაჩივრების მექანიზმებთან, და ასევე გამოძიებასთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან.

**4. ფინანსური ინფორმაცია**

(viii) ფინანსური ინფორმაცია, რომლის გასაჯაროება გამოიწვევს ან შესაძლოა გამოიწვიოს ADB-ს ლეგიტიმური ფინანსური ან კომერციული ინტერესებისა და ოპერაციების დაზიანება. ზოგიერთი მაგალითი მოიცავს ADB-გან მომავალში თანხის სესხებას, ფინანსურ პროგნოზებს, ADB-ს საზიანო ოპერაციების ინდივიდუალური საინვესტიციო გადაწყვეტილებების მონაცემებს, კრედიტის შეფასებას, კრედიტის გაცემის ანალიზს, საკრედიტო რეიტინგებს, მსესხებლებისა და სხვა კლიენტების რისკების შეფასებას და ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს კაპიტალური და ფინანსური ბაზრებისთვის.

(ix) ფინანსური ინფორმაცია, რომლის გასაჯაროება გამოიწვევს ან შესაძლოა საფრთხე შეუქმნას წევრის მიერ საკუთარი ეკონომიკის მართვის შესაძლებლობას.

**5. უსაფრთხოება და უშიშროება**

(x) ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ან შეუქმნის ნებისმიერი პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას; რისკის ქვეშ დააყენებს ADB-ს აქტივების უშიშროებას და უსაფრთხოებას; ზიანს მიაყენებს თავდაცვას ან წევრის ეროვნულ უსაფრთხოებას.

**6. იურიდიული და საგამოძიებო საკითხები**

(xi) ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იცავს ადვოკატსა და კლიენტს შორის გაზიარებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის უფლება (მათ შორის ნებისმიერი კომუნიკაცია ADB-სთან ან მის გარე იურიდიულ მრჩევლებთან) ან ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გასაჯაროება გამოიწვევს

ან შესაძლოა გამოიწვიოს ადვოკატსა და კლიენტს შორის გაზიარებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის უფლების ან შესაბამისი კანონის დარღვევა.[9]

(xii) ADB-სთვის თაღლითობის, კორუფციის, ან ADB-ს ანტიკორუფციული პოლიტიკის დარღვევის სხვა შემთხვევების ან გადაცდომების შესახებ მიწოდებული ინფორმაცია; ან შესაძლო თაღლითობასთან, კორუფციასთან ან ADB-ს ანტიკორუფციული პოლიტიკის დარღვევის სხვა შემთხვევების ან გადაცდომების გამოძიებასთან დაკავშირებული საგამოძიებო ინფორმაცია. ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გასაჯაროებამაც შეიძლება გამოიწვიოს ან გამოიწვევს საგამოძიებო პროცესის ან სამართლის აღსრულების შეფერხება; გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ნებადართულია ADB-ს წესებით. წინამდებარე პარაგრაფი ასევე შეესაბამება ბრალდების წარმდგენ მხარეს („განგაშის ამტეხს“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი პირი თანახმაა მისი ვინაობის გამჟღავნებაზე, ან გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ნებადართულია ADB-ის წესებით.

**7. შიდა აუდიტის ანგარიშები და ნდობის ფონდის აუდიტორული ანგარიშები** [10]

(xiii) (ა) ADB-ს გენერალური აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის ანგარიშები, ვინიდან მსგავსი ანგარიშები შეიძლება შეიცავდეს საიდუმლო ინფორმაციას შიდა სისტემების შესახებ, რომელიც შესძლაო მესამე მხარემ გამოიყენოს ADB-ს საწინააღმდეგოდ; და (ბ) ADB-ს გარე აუდიტორების ანგარიშები ADB-ს მიერ ადმინისტრირებული ნდობის ფონდების შესახებ. წინამდებარე ანგარიშებისა და ფინანსური მონაცემების გასაჯაროება შეზღუდულია აუდიტორული სტანდარტების შესაბამისად.[11]

## C. საზოგადოებრივი ინტერესის შეზღუდვა (პოზიტიური განსაზღვრა)

6. გამონაკლის შემთხვევებში ADB-ს უფლება აქვს გაასაჯაროოს ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება გასაჯაროების გამონაკლის შემთხვევებს, თუ ბანკი განსაზღვრავს, რომ ინფორმაციის გასაჯაროების საზოგადოებრივი ინტერესი გადაწონის ზიანს, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს გასაჯაროებამ. მსგავსი ინფორმაციის გასაჯაროების ან გასაჯაროებაზე

---

[9] ეს შეიძლება მოიცავდეს საბანკო კანონმდებლობითა და საავტორო უფლებების კანონებით გათვალისწინებულ შეზღუდვებს.

[10] ეს გამონაკლისი არ მოიცავს ADB-ის *წლიურ ანგარიშში* მითითებულ აუდიტის შეხედულებებს და შემოწმებულ ფინანსურ დოკუმენტაციას.

[11] ზოგიერთი ნდობის ფონდის ფინანსური დოკუმენტაცია მომზადებულია დონორის ანგარიშგების მოთხოვნების შესაბამისად (რომლებიც შესაძლოა განსხვავდებოდეს აშშ-ში ზოგადად მიღებული ანგარიშგების სტანდარტებისგან), და ჩატარებულია აშშ-ში ზოგადად მიღებული აუდიტორების სტანდარტების შესაბამისად (რომლებიც შეესაბამება ADB-ს). აუდიტის მსგავსი სტანდარტები ზღუდავს ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშების გასაჯაროებას, გარდა იმ ანგარიშებისა, რომლებიც ზოგადად არის მიღებული აშშ-ში და დაკავშირებულია ფონდის მიმართ კონკრეტული ინტერსის მქონე პირებთან, მაგალითად კონტრიბუტორები და ფონდის მართვაზე და/ან ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები.

უარის თქმის რეკომენდაცია საჭიროებს დირექტორთა საბჭოს დასტურს საბჭოს ოქმების შემთხვევაში და პრეზიდენტის დასტურს სხვა სახის დოკუმენტების შემთხვევაში.

## D. ADB-ის წვდომის შეზღუდვის პრეროგატივა (ნეგატიური განსაზღვრა)

7. გამონაკლის შემთხვევებში ADB-ს უფლება აქვს გაასაჯაროოს ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება გასაჯაროების გამონაკლის შემთხვევებს, თუ ბანკი განსაზღვრავს, რომ ინფორმაციის გასაჯაროებით მიღებული დადებითი შედეგი შეიძლება გადაწონოს ან გადაწონის გასაჯაროებით გამოწვეული ზიანი. ასეთი პრეროგატივა გააჩნია მხოლოდ დირექტორთა საბჭოს.

## E. ისტორიული ინფორმაცია

8. ნებისმიერი ინფორმაცია ADB-ს ოპერაციების შესახებ, რომელთა განხორციელებაც მოხდა ADB-ს მიერ მსგავსი ინფორმაციის მომზადებიდან ან ამ ინფორმაციის ADB-სთვის მოწოდებიდან 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მოიაზრება ისტორიულ ინფორმაციად. დირექტორთა საბჭოს მოსმენები ექვემდებარება გასაჯაროებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომიტეტისთვის შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე და თუ კომიტეტი მიიჩნევს, რომ საბჭოს მოსმენა არ შეიცავს ან არ შეეხება ინფორმაციას, რომელიც გათვალისწინებულია პოლიტიკის გამონაკლისებში, პარაგრაფ 5(ii)-ში მოცემული დებულებების გათვალისწინებით. ნებისმიერი სხვა ისტორიული ინფორმაცია ექვემდებარება გასაჯაროებას შესაბამისი მოთხოვნის წარდგენის საფუძველზე, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ჩამოთვლილია პარაგრაფში 5.2 (კონფიდენციალურად მიწოდებული ინფორმაცია), 5.3 (პერსონალური ინფორმაცია), 5.5 (უშიშროებისა და უსაფრთხოების ინფორმაცია), ან 5.6 (იურიდიული და საგამოძიებო საკითხები), რომლებიც არ ექვემდებარება გასაჯაროებას.

# III. ინფორმაციის მოთხოვნა და საჩივრები

## A. ინფორმაციის მოთხოვნა

9. ინფორმაციასა და დოკუმენტებთან დაკავშირებული ნებისმიერი მოთხოვნა უნდა დაფიქსირდეს წერილობით. მოთხოვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ADB შტაბბინის, მუდმივმოქმედი წარმომადგენლობის, ან ADB-ს ნებისმიერი დეპარტამენტის ან სამსახურის სახელზე. ინფორმაციის მოთხოვნის გაკეთებასთან დაკავშირებული დეტალები მოცემულია ADB-ს ვებგვერდზე. მოთხოვნა წარმოდგენილი უნდა იყოს დაკონკრეტებით, რაც საშუალებას მისცემს ADB-ს მოიძიოს შესაბამისი ინფორმაცია გონივრულ ვადებში.

10. მოთხოვნები ADB-ს შესაძლებელია წარედგინოს ინგლისური ენაზე ან ნებისმიერ ოფიციალურ ან ADB-ს წევრი ქვეყნების ეროვნულ ენაზე.[12]

11. ADB ვალდებული არ არის დაემორჩილოს ან უპასუხოს შეუსაბამო მოთხოვნებს, ცარიელ მოთხოვნებს, ან ისეთ მოთხოვნებს, რომლებზე რეაგირებისთვისაც ADB-ს

[12] ინგლისური არის ADB-ს მიერ მოთხოვნაზე პასუხის გაცემისას გამოყენებული ენა. შესაძლებელია პასუხების თარგმნა ადგილობრივი გარემოებების შესაბამისად.

დასჭირდება ისეთი ინფორმაციის მომზადება, ჩამოყალიბება ან მოგროვება, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის ან ისეთი მონაცემების მომზადება, რომელიც ამჟამად არ არსებობს ან ხელმისაწვდომი არ არის ჩანაწერების მართვის სისტემაში. ეს შეეხება ერთი და იმავე პირის, ორგანიზაციის ან ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ მოთხოვნებს, რომლებზეც ADB-მ უკვე მიაწოდა განმცხადებელს ინფორმაცია პირველი მოთხოვნის საფუძველზე ან განუმარტა მიზეზი მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის შესახებ.

12. ADB დროულად ატყობინებს მოთხოვნის მიღების შესახებ და აწვდის ინფორმაციას მოთხოვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ.[13] ასე მაგალითად, კომპლექსური მოთხოვნის შემთხვევაში,[14] ადბ-ს შესაძლოა დასჭირდეს ვადების გახანგრძლივება პასუხის მოსამზადებლად, ხოლო განმცხადებელს ეცნობება გადავადების აუცილებლობის შესახებ.

## B. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომიტეტი

13. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომიტეტი (AIC) არის ზედამხედველობითი ორგანო, რომელიც შექმნილია ინტერპრეტირების, მონიტორინგის, პოლიტიკის შესწავლისა და მისი იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით. ის შედგება ადბ-ს უფროსი პერსონალისგან, რომელიც დასახელებულია პრეზიდენტის მიერ და ანგარიშვალდებულია პრეზიდენტის წინაშე. AIC იკრიბება საჭიროების შესაბამისად იმ ინფორმაციის მოთხოვნის განხილვის მიზნით, რომელიც უარყოფილი იქნა ADB-ს დეპარტამენტების ან სამსახურების მიერ. AIC ასევე შეისწავლის და გადაწყვეტილებას იღებს საჩივრებთან დაკავშირებით (პარაგრაფი 16). AIC-ს აქვს უფლებამოსილება (i) შეაჩეროს ან შეცვალოს ADB-ს დეპარტამენტებისა და სამსახურების ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება და (ii) საზოგადოებრივი ინტერესების სასარგებლოდ გაითვალისწინოს იმ ინფორმაციის გასაჯაროების მოთხოვნა, რომლებიც ასახულია პოლიტიკის გამონაკლისებში (პარაგრაფი 6).

## C. საჩივრები

14. ADB-ს აქვს ორ ეტაპიანი გასაჩივრების პროცესი, რომელიც მომჩივნებს შეუძლიათ გამოიყენონ მაშინ, როდესაც თვლიან, რომ ADB-მა წინამდებარე პოლიტიკის პირობების დარღვევით უარი თქვა ინფორმაციის გაცემაზე. საჩივრის დაფიქსირებასთან დაკავშირებული დეტალები მოცემულია ADB-ს ვებგვერდზე. უფლებების დაცვის საშუალება, რომელიც ხელმისაწვდომია მომჩივნისთვის და რომელსაც უპირატესობა ენიჭება ნებისმიერი დაფიქსირებული საჩივრის შემთხვევაში, შემოიფარგლება მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებით.

15. საჩივრის ორ ეტაპიანი პროცესი ასეთია:

### 1. პირველი ეტაპი: ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კომიტეტი

---

[13] როდესაც ADB იყენებს პარაგრაფი 6-ით (პოზიტიური განსაზღვრა) ან პარაგრაფი 7-ით (ნეგატიური განსაზღვრა) გათვალისწინებულ პრეროგატივას, ADB საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს განმცხადებელს. განმცხადებელს ინფორმაცია მიეწოდება გადავადების შესახებაც.

[14] კომპლექსური მოთხოვნები მოიცავს რამდენიმე წყაროდან ინფორმაციის მოძიებას, დიდი რაოდენობით დოკუმენტებს. რამდენიმე წლის ინფორმაციის მოგროვებას, მონაცემების მოგროვებას და ერთმანეთთან დაკავშირებას და მიგნებების მოგროვებას.

16. განმცხადებელს, რომელსაც ADB-მა უარი უთხრა ინფორმაციის მიწოდებაზე, უფლება აქვს საჩივრით მიმართოს AIC, თუ განმცხადებელს შეუძლია (i) წარმოადგინოს ინფორმაციის თავდაპირველი მოთხოვნა, რომელიც მომზადებულია წინამდებარე პოლიტიკაში მოცემული შესაბამის პროცედურების გათვალისწინებით და (ii) წარმოადგინოს ADB-ს მიერ ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმით გამოწვეული პოლიტიკის დარღვევის გონივრული დასაბუთება ან იმოქმედოს პარაგრაფ 6-ში აღწერილი საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად.

## 2. მეორე ეტაპი: საჩივრების დამოუკიდებელი საბჭო

17. თუ AIC ძალაში დატოვებს გადაწყვეტილებას მოთხოვნაზე უარის შესახებ, და განმცხადებელი მაინც ჩათვლის, რომ ADB არღვევს საკუთარ პოლიტიკას, მაშინ განმცხადებელს უფლება აქვს საჩივარი შეიტანოს საჩივრების დამოუკიდებელ საბჭოში (IAP). IAP აქვს უფლებამოსილება ძალაში დატოვოს ან შეცვალოს AIC-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. IAP-ის გადაწყვეტილება საბოლოოა.

18. IAP-ს არ აქვს უფლება განიხილოს საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია (i) დირექტორთა საბჭოს ან პრეზიდენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან, თუ საჩივარი ეფუძნება საზოგადოებრივი ინტერესის შეზღუდვას ან (ii) დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გამოიყენოს საკუთარი პრეროგატივა და შეზღუდოს წვდომა ზოგადად გამოქვეყნებად ინფორმაციაზე.

19. IAP-ის შემადგენლობაში შედის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სამი გარე ექსპერტი, რომლებსაც კავშირი არ აქვთ ADB-თან. ADB-ს პრეზიდენტი ნიშნავს IAP-ს წევრებს დირექტორთა საბჭოს დასტურის საფუძველზე.

## 3. საჩივრის ჩაბარება და გადაწყვეტილების შეტყობინება

20. AIC-ში წარდგენილი ყველა საჩივარი უნდა მომზადდეს წერილობით ფორმაში ADB-ს მიერ ინფორმაციაზე წვდომის შესახებ უარის გადაწყვეტილების მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. IAP-ში წარდგენილი ყველა საჩივარი უნდა მომზადდეს წერილობით ფორმაში AIC-ის მიერ ADB-ს ინფორმაციაზე წვდომის შესახებ უარის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების გადაწყვეტილების მიღებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში. 90 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი საჩივრები არ განიხილება. ყველა საჩივარი უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილს:

(i) თავდაპირველად მოთხოვნილი ინფორმაციის აღწერილობა, და

(ii) ახსნა-განმარტება, რომელშიც მოცემულია ფაქტები და საფუძვლები, რომლებიც ამყარებს მომჩივნის ADB-ს მიერ პოლიტიკის დარღვევის შესახებ ბრალდებას.

21. განმცხადებელს ეცნობება თუ საჩივარი უარყოფილია (i) შესაბამისი ვადების დაუკმაყოფილებლობის გამო; (ii) ვინაიდან წარმოდგენილი არ იყოს საჩივრის მხარდამჭერი გონივრული ინფორმაცია; ან (iii) თუ AIC-ს ან IAP-ს არ აქვს შესაბამისი უფლებამოსილება განიხილოს საჩივარში წარმოდგენილი საკითხი.

## D. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის კავშირი სხვა პოლიტიკებთან

22. წინამდებარე პოლიტიკაში მითითებული ADB-ს ნებისმიერი სხვა პოლიტიკა მოიცავს ამ პოლიტიკებს, პერიოდული განახლების ჩათვლით.

## E. შესაბამისობის მიმოხილვა

23. AIP წარმოადგენს საჩივრების პროცესის ნაწილს (პარაგრაფები 14–21). AIP არის ADB-ს ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის „ოპერაციული პოლიტიკა“. შესაბამისად, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების საჩივარი, რომელიც უკავშირდება ADB-ს მიერ პროექტის ჩამოყალიბების, დამუშავების ან იმპლემენტაციის პროცესში წინამდებარე პოლიტიკის დარღვევის ბრალდებას, შეიძლება წარმოდგენილი იქნას ADB-ს ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის ფარგლებში.[15]

# IV. პოლიტიკის მონიტორინგი და შესწორებები

24. ADB განახორციელებს პოლიტიკის იმპლემენტაციის მონიტორინგს და საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშებს. პოლიტიკის ცვლილებები შესაძლოა განხორციელდეს პერიოდულად დირექტორთა საბჭოს დასტურის საფუძველზე.

# V. პოლიტიკის ძალაში შესვლა

25. პოლიტიკა ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან და ანაცვლებს საჯარო კომუნიკაციის პოლიტიკა 2011-ს.

[15] ანგარიშვალდებულების მექანიზმს გააჩნია ADB-ს დახმარებით განხორციელებული პროექტის ნეგატიური ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა ფორუმი, სადაც პირებს შეუძლია დაასახელონ პრობლემა და ეძიონ შესაბამისი გამოსავალი, ასევე დააფიქსირონ ADB-ის შეუსაბამობა ოპერაციულ პოლიტიკებთან და პროცედურებთან. ADB. *ანგარიშვალდებულების მექანიზმი.* https://www.adb.org/site/accountability-mechanism/main